



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31. 3125360001

თარიღი:26/12/2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №67

2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



შეთანხმება № 1

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

11 დეკემბერი 2025 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით, და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) წარმოდგენილი მერის - ალექსანდრე სარიშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც - „მხარეები“, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №2075 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“.

შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
ს/ნ: 204755292

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
ს/ნ: 233730139

მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის №10

მისამართი: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37

Kakhaber
Guledani
01024009201

Digitally signed by
Kakhaber
Guledani
Date: 2025.12.15
15:32:07

Alexandre
Sarishvili
26001005981

Digitally signed by
Alexandre
Sarishvili
Date: 2025.12.11
14:27:48